№ 2, 3, 6, 8, 9–24, 37–57 = 41/4
10/1921
110/2
1921
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე

1921 წ. 13/III 10

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 2. ეროვნულ კავშირეული ორგანო. № 2.

რედაქციის მისამართი: შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა, ეკატერინოდარის ქ. № 1. (ეროვ. კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 690.	ოთხშაბათი აპრილის 27	სარედაქციო საქმეებზედ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე— სადამის 5-დან 7 საათამდე.

რედაქციისაგან

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბის გამოცემით, რედაქციას მიზნად აქვს საბჭოთა ყველა დაწესებულებას, მაზრისა და ქალაქის ყველა რევკომს მიაწოდოს სისტემატიურად დალაგებული ყველა დეკრეტი, ბრძანება და დადგენილება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისა. გარდა ამ ოფიციალური მასალისა, ჟურნალს ექნება აგრეთვე არაოფიციალური განყოფილება, სადაც გამუქებული იქნება საკითხები საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, და მოთავსდება ცნობები და კორესპონდენციები სხვა და სხვა ადგილებიდან, ადგილობრივ რევკომების მოქმედების შესახებ და აგრეთვე სახელმძღვანელო წერილები. რედაქცია მოუწოდებს ყველა ადგილობრივ რევკომსა და ორგანიზაციას, მოგვაწოდონ ამ მიზნისათვის შესაფერისი მასალა და ცნობები.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 23

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

(დროებითი დებულება მაზრისა, ქალაქისა და თემის რევოლიუციონური კომიტეტების ორგანიზაციისა.)

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საბოლოოდ შემუშავებამდე, დადგენილია რევკომის ორგანიზაციის შემდეგი წესი.

1. **თემისა.**

§ 1. თემის რევკომი არის უმაღლესი ხელისუფლების ორგანო, რომელიც აერთებს საბჭოთა მთელ მოქმედებას, იმ ადგილის საზღვრებში, რომელშიაც იგი მოქმედობს.

§ 2. თემის რევკომის ყველა დადგენილება, კანონის ფარგლებში, სავალდებულოა მის ქვემდებარე ადგილის მცხოვრებთათვის.

§ 3. თემის რევკომს ეძლევა უფლება დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ყველა საკითხი, რომელსაც აქვს წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობა.

§ 4. თემის რევკომი უნდა შესდგეს ადმინისტრატიული ნაწილების ამ ადგილებში, და საზღვრებში, რომლებიც არსებობდა იმ დეკრეტის გამოცემამდე.

§ 5. თემის რევკომთან არსდება შემდეგი განყოფილებანი: ა). შინაგანი მმართველობის, ბ). სამხედრო და გ). მიწის. ამ განყოფილებითა აგებულობა და მათი დანიშნულების შესრულების წესი განისაზღვრება სათანადო კომისარიატის დებულებებით, რომლებიც საჯაროდ იქნება გამოქვეყნებული.

§ 6. თემის რევკომის წევრებს სამი პირისაგან შემდგარს, ნიშნავს მაზრის რევკომი: ა). რევკომის თავმჯდომარეს, ბ). მის მოადგილეს, რომელიც

ამასთანავე არის შინაგან მართველობის განყოფილების გამგე და გ). მდივანს.

§ 7. თემის რევკომის ყველა წევრი, მისი თავმჯდომარის უმეშვეო ზედამხედველობის ქვეშ, საერთო წესით, ასრულებს თემის რევკომის გამგებლობაში არსებულ ყველა საქმეს.

§ 8. თემის რევკომთან არ მოეწყობა საკომუნალო განყოფილება და ამ განყოფილების ყველა მოვალეობის ასრულება დაეკისრება თემის რევკომის ერთ წევრთაგანს.

§ 9. იმ შემთხვევაში როცა რომელიმე თემში შედის ქალაქი, მაზრის რევკომის ნებართვით, თემის რევკომთან, უნდა მოეწყოს საკომუნალო განყოფილება, რომელიც იმოქმედებს საერთო წესით.

თემის რევკომის მოვალეობა საერთოდ:

თემის რევკომი და მისი თავმჯდომარე ვალდებულნი არიან: ა) ასრულონ საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ორგანოთა ყველა დადგენილება და დაეხმარონ ხელისუფალთა წარმომადგენლებს მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროს, ბ), მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომელიც მიმართულ იქნება წესრიგის დაცვისა და აღნიშნული ადგილის მცხოვრებთა სამეურნეო და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, გ). მიიზიდონ მშრომელი მასსა ახალი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში

თემის რევკომის მოვალეობა ოლქში:

ა) შინაური მართველობა.

ა) რევოლიუციონური წესრიგის დაცვა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა.

ბ) გამოქვეყნება და განმარტება საბჭოთა მთავრობის ყველა დეკრეტისა და განკარგულებისა.

გ) შრომის ბეგრის ყველა სახის განხორციელება.

ე) მცხოვრებთა აღრ-ცხვა (მსხვილის, ღარიბის, საშუალოსი და უღარიბეს გლეხობისა, ამომრჩეულების, წერაკითხვის უცოდინარების და სხვ.).

ვ) აღნუსხვა უმაღლესი რევკომების და იმათი განყოფილებათა ყველა აგენტის, რომელნიც მოდიან აღნიშნულ ადგილს, მათთვის დავალებული საქმის შესასრულებლათ.

ზ) აღნიშნული ადგილის მოქალაქეთათვის სხვა და სხვა საჭიროების დროს მოწმობების გაცემა.

თ) აღნუსხვა დაბადებულთა და გარდაცვლილთა, შინაგან საქმეთა კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

ი) საბჭოთა მთავრობის განკარგულებათა დარღვევისა და წინააღმდეგობისათვის პასუხის გებაში მიეცემა მოქალაქეთა

ბ) სოფლის მეურნეობა.

ა) სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა (მოწყობა სოფლის მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო საკომუნალო ორგანოების და მიწით სარგებლობის ყოველგვარ ამხანაგობის, სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებითი გაუმჯობესება და სხვ.) მიწად-მოქმედების ინსტრუქციის თანახმად.

ბ) განხორციელება ნატურალური ბეგარისა, რომელიც დაკისრებული აქვთ მიწის მომუშავე მცხოვრეთ, მიწის სარგებლობის სოციალისტურ ნიადაგზე მოსაწყობათ (მიწად-მოქმედისთვის საჭირო მუშა ხელის მოწოდება, მასალის მიტანა, ბინის მიჩენა და სხ.) და აგრეთვე დახმარების აღმოჩენა აგრონომიული პერსონალისა და მიწათ-მოქმედების განყოფილების მიერ წარგზავნილი პ რებისათვის, თავიანთი მოვალეობის ასრულების დროს.

გ) ადგილობრივ მეურნეთათვის დახმარების აღმოჩენა და ტყეების დაცვისათვის ხელის შეწყობა.

ე) მეთვალყურეობა, რომ მიწის მომუშავე მცხოვრებლებმა რესპუბლიკაში, სავსებით შეასრულონ ყოველგვარი კანონი და განკარგულება რომელიც შეეხება მიწის მოწესრიგებას და მიწით სარგებლობას.

ვ) სათანადო ორგანიზაციებისთვის დახმარების აღმოჩენა: აღნუსხვა მიწისა, მიწათ-მომქმედ მცხოვრებთა, დახნულისა, დათესილისა, თესლისა და ყოველნაირი ნივთიერი ხელსაწყოსი და სხვა მასალისა, და მიწოდება ყველა ამ საქმისათვის საჭირო მასალებისა იმ პირებისა და დაწესებულებისადმი, რომელთაც აქვთ ამის რწმუნება.

გ კომუნალი მეურნეობა.

კომუნალ განყოფილებათა საოპერაციო დავალებანი განისაზღვრება შინაგან საქმეთა კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით, ხოლო გეგმა რევკომის მიერ ისეთი სამუშაოს შესრულებისა, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომპეტენციას შეადგენს, განისაზღვრება ამ უკანასკნელის დადგენილებით.

დ. სასურსათო საქმე.

მცხოვრებთა სურსათით უზრუნველსაყოფისა და ამ საქმის მოწესრიგების დროს, თემის რევკომი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას, ამის შესახებ გამოცემული ყველა დეკრეტი და იხელმძღვანელოს სასურსათო სახალხო კომისარიატის დადგენილებით.

ე. სამხედრო.

ა) ყველა სამხედრო ვალდებულ მოქალაქეთა, ცხენებისა, ურმებისა და შესაბმელ მოსართავების ანგარიშის წარმოება, არსებული კანონის მიხედვით.

ბ) ზედამხედველობა, რომ სამხედრო ვალდებულნი უკლებლივ გამოცხადდენ შესამოწმებლად შეკრების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სტატისტიკური ცნობებისა და ჯარში გაწვეულ მოქალაქეთა ანგარიშის წარდგენა და აგრეთვე ჯარისათვის—ცხენებისა, ურმებისა და შესაბმელ-მოსართავების მიწოდება, სამხედრო კომისარიატის ბრძანების მიხედვით.

დ) მოქალაქეთა ჯარში გაწვევის სათანადო წესით შესრულება და აგრეთვე ჯარისათვის ცხენებისა, ურმებისა და შესაბმელ-მოსართავების მიწოდება იმავე კომისარიატის ბრძანების მიხედვით.

ე) მეთვალყურეების გაწევა, რათა მცხოვრებლებმა მოახდინონ სავალდებულო სამხედრო ბეგარა და ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ.

ვ) განხორციელება იმ განკარგულებათა, რომლებიც მშრომელთა საერთო სამხედრო გაწვრთვნას შეეხება.

ზ) დახმარების აღმოჩენა იმ ორგანიზატორებისა და აგიტატორთათვის, რომლებიც წარგზავნილი იქნებიან სოფლებში იმ აზრით, რომ მოამზადონ მცხოვრებნი განსახორციელებელ სამხედრო ღონისძიებათა შესათვისებლად.

თ) დახმარების აღმოჩენა სამხედრო ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილთათვის; ბინის მიჩენაში და სურსათსა და გადამზიდველ საშუალების მიწოდებაში. ამ საკითხის შესახებ არსებული წესების მიხედვით.

ვ. სახალხო განათლება.

ა) სამკითხველოების მოწყობა სოფლებში (ანუ სახალხო სახლების და წიგნთსაცავ-სამკითხველოთა) მათი საბჭოების საშუალებით, ხმა მაღლა კითხვა გაზეთებისა, წიგნაკებისა, საბჭოთა მთავრობის დეკრეტებისა, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვ., და საუბარი წაკითხულის შესახებ.

ბ) გავრცელება გაზეთებისა, ფურცლებისა და სხვა.

გ) სამკითხველოსთან (სახალხო სახლთან) დიდებისა და მოზარდთათვის წერა-კითხვის სკოლის მოწყობა.

დ) ხელის შეწყობა სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა, მაგ.: წრისა. ექსკურსიისა. ლექციებისა, მგალობელთა გუნდის, ადგილობრივი ძალებიდან შემდგარ თეატრების ორგანიზაციის საქმეში.

ე) სამეურნეო ზრუნვა სკოლამდე, სკოლაში და სკოლის გარეშე განათლებისათვის საჭირო დაწესებულებებზე (შეკეთება, განათება, გათბობა და სხვა)

ვ) საჭიროების და მიხედვით გიწვევა ყველა ადგილობრივ წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეთა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მოწყობის და სავალდებულო ბეგრის მოსახდელად.

ზ. სახალხო ჯანმრთელობა.

ა) ზედამხედველობა სოფლის სისუფთავისა და სანიტარული მდგომარეობისათვის, განსაკუთრებით კი სასმელი წყლის მიწოდებისათვის.

ბ) დახმარება საექიმო პერსონალს და ექიმ-ასთან საბრძოლველ ღონისძიებათა განხორციელება (აცრა ყვავილისა, სახადისა, ხოლერისა და სხ.)

გ) მზრუნველობა ადგილობრივ სამკურნალო დაწესებულებათათვის მეურნეობის მხრივ (შეკეთება, შეშის მოტანა, სანოვაგე და სხვ.).

თ. სოციალური უზრუნველყოფა.

ა) ყველა გაჭირვებული მშრომელის აღრიცხვა, სახელმწიფო და ადგილობრივი საშუალებებით დახმარების აღმოსაჩენად.

ბ) სავალდებულო სასოფლო სამეურნეო დახმარების მოწყობა, მაგ.: მინდვრების დამუშავებისა საზოგადო თესვისა და სხვ. სახით.

გ) დ ხმარების აღმოჩენა წითელ არმიელების გაჭირვებულ ოჯახთათვის და აგრეთვე ფრონტიდან დაბრუნებულ ავადმყოფ, დაჭრილ და შრომის უნარ მოკლებულ წითელ არმიელებისათვის; ფულის და ყოველგვარი ნივთეულობის, ტანსაცმელისა, ფეხსაცმელებისა და სხვ. შეკრების სახით.

₹. შ რ ო მ ა

ა) აღსრულება შრომის ბეგარის გასატარებელ მინდობილებათა, იმ წესისამებრ, რომელიც აღნიშნულია შრომის სახალხო კომისარის საგანგებო ინსტრუქციაში.

ბ) ამ საგნის შესახებ საქმის წარმოების გაძღოლა, ზემოხსენებული კომისარიატის ხელმძღვანელობით.

თემის რევკომის წევრთა პასუხისმგებლობა.

ურჩობისა, საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გაუტარებლობისა, უმოქმედობისა, ბოროტ-მოქმედებისა და ხელისუფლების გადამეტებისა და მცხოვრებთადმი უხეშად მოპყრობისათვის—თემის რევკომის წევრნი სასტიკ პასუხს აგებენ, რევოლიუციონური კანონის მთელი სიმკაცრით.

II. რ ა ი ო ნ ი ს ა.

§ 1. თემის და ხსენებულ ადგილის მაზრის რევკომებს შორის კავშირის დამყარებისათვის არსდება რაიონის რევკომები.

§ 2. რაიონის რევკომები, შინაგან საქმეთა კომისარიატის დასტურით არსდება იმ შემთხვევაში და იმ ადგილას, სადაც ამას ნამდვილი საჭიროება მოითხოვს.

§ 3. რაიონის რევკომის მოღვაწეობის, მისი უფლებისა და მოვალეობის ფარგ ლი ისეთივეა, როგორც თემის რევკომისა, და განისაზღვრება ამ დეკრეტის §§ 1—9-ით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. მაზრისა და ქალაქის.

§ 1. მაზრისა და ქალაქის რევკომები ყოველ თავის მოქმედებაში უმეშვეოდ ემორჩილებიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტს, როგორც ამ რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფლების ორგანოს, ხოლო მათი საორგანიზაციო და საადმინისტრაციო ნაწილი ექვემდებარება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, რომელსაც უფლება აქვს განსაზღვროს, სად უფრო საჭირო და მიზანშეწონილი იქნება დაარსება დამოუკიდებლად ქალაქის რევკომის, საერთო წესისამებრ.

§ 2. მაზრისა, ქალაქისა, რაიონის და თემის რევკომების ყოველგვარი რეორგანიზაცია და აგრეთვე საკითხი მათი შეერთებისა, ან დაარსებისა, განხილული და დამტკიცებული უნდა იქნეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ, რისთვისაც მას დასახელებული მოხსენება უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა.

§ 3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი განსაზღვრავს თუ რომელ მაზრას უნდა მიეკუთვნოს ერთ სახელწოდებიანი ქალაქი და რომელ მაზრის რევკომს მიეწეროს იგი. ამასთანავე ამ უკანასკნელის ხელისუფლება ვრცელდება ამისთანა ქალაქებზედაც მაზრის საზღვრის ფარგლებში.

§ 4. მაზრის რევკომი სრული პასუხისმგებელია მის ქვემდებარე რაიონისა და თემის რევკომების მოქმედებაში, რომელთა მუშაობისათვის მეთვალყურეობა ეკუთვნის მაზრის რევკომს.

§ 5. მაზრისა და ქალაქის რევკომი, შესდგება 5 წევრისაგან, რომელთაც ნიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, მათ შორის ერთს რევკომის თავმჯდომარეთ, მეორეს—მის მოადგილედ (იგივე გამგეა შინაგან მართველობის განყოფილებისა) და მესამეს—მდივნად და ეს სამნი შეადგენენ რევკომის პრეზიდიუმს. დანარჩენი ორი წევრი კი, ინიშნებიან ხსენებულ რევკომის სხვა განყოფილებათა გამგეებად და თავის თანამდებობაზე უნდა იქნენ დამტკიცებული ზემოხსენებულ სახალხო კომისარის მიერ.

შენიშვნა: ქალაქისა და მაზრის მილიციის უფროსები შედიან კოლეგიის წევრთა შემადგენლობაში.

§ 6. განყოფილებათა გამგეს და მის მოადგილეს ირჩევს რევკომი და ამტკიცებს სათანადო სახალხო კომისარი.

შენიშვნა: სახალხო კომისარებს მინიჭებული აქვთ უფლება, უარჰყონ რევკომების მიერ წამოყენებული პირთა კანდიდატურა, რის შესახებაც უნდა ეცნობოს სათანადო რევკომს. თუ რევკომს არა ჰყავს თავისი კანდიტატი, განყოფილების გამგეს და ამის მოადგილეს ნიშნავენ კომისარები თავის შეხედულებისამებრ. ამ შემთხვევაში რევკომს უფლება, აქვს მისი უარყოფისა, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სათანადო კომისარს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, მიზეზის აღნიშვნით.

§-7. ყველა მაზრისა და ქალაქის რევკომთან, საქართველოს რესპუბლიკის სათანადო კომისართა ნებართვით, არსდება შემდეგი განყოფილებანი: ა/ შინაგან მართველობისა, ბ/ სამხედრო, გ/ შრომისა, დ/ სოციალურ-უზრუნველყოფისა, ე/ სახალხო განათლებისა, ვ/ ფინასისა, ზ/ ადგილ-მამულისა, თ/ სურსათისა, ი/ საეკონომიო /სახალხო მეურნეობის საბჭოს მსგავსად /, კ/ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ლ/ იუსტიციისა.

§-8. მაზრისა, ქალაქისა, რაიონისა და თემის რევკომთან, სახალხო კავშირი არ არსდება; ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციებს კი ასრულებს განსაკუთრებული კომისარი, რომელსაც ნიშნავს და ხელმძღვანელობს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი.

§-9. საქართველოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის რესურსების მომჭირნეობის მიზნით ნებადართულია, რომ რამდენიმე განყოფილებას ერთი და იგივე პირი განაგებდეს, თუ ეს, ამა თუ იმ მოსაზრებით შესაძლებელი იქნება.

§-10. მე-§-7-ში დასახელებული ყველა განყოფილება, არსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აუცილებლად საჭიროა, და ისიც ყოველ ცალკე შემთხვევაში სახალხო კომისარის სათანადო ნებართვით.

§-11. მე-§-7-ში დასახელებული ყველა განყოფილების მოქმედების ფარგალი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციითა და დებულებით, რომელსაც გამოსცემს სათანადო კომისარი, რომელიც ამავე დროს განსაზღვრავს ხსენებულ განყოფილებათა აგებულების და კანცელარიის მოხელეთა რაოდენობას, თანახმად შესაფერ რაიონისა, მაზრისა, ან ქალაქის რევკომების მიერ შემუშავებული შტატისა.

§-12. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ განყოფილებასთან არსდება კოლეგია, რომლის წევრთა რაოდენობას და აგრეთვე წევრთ, ამტკიცებს სათანადო სახალხო კომისარი.

§-13. ხსენებულ განყოფილებათა პირადი შედგენილობისა, საკანცელარიო, სამნეო ოა სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად კრედიტებს აძლევს სათანადო კომისარიატი, რომელიც ამისათვის მიმართავს ფინასთა სახალხო კომისარს.

14. თემის რევკომთან, მაზრის რევკომის თანხმობით დაარსებული კომუნალური განყოფილება, მაზრის რევკომის განყოფილების საერთო ხელმძღვანელობით მოქმედობს.

§-15. თემის რევკომების საკომუნალო მოქმედების ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ეკუთვნის სათანადო მაზრის რევკომს, რომელიც ამ მხრით სრული პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის წინაშე.

§-16. კანცელარიის მოხელეთა შტატის პროექტი, აგრეთვე კრედიტი, რაც კი დასჭირდება მაზრისა და ქალაქის კომუნალ განყოფილებას, წინასწარ უნდა იქნეს განხილური სათანადო რევკომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მიერ, რომელმაც მთელი ამ საგნის მასალა, თავის დასაბუთებული დასკვნითურთ, უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს დასამტკიცებლად.

§-17. კომუნალი და აგრეთვე შინაგან მართველობის განყოფილება თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ გამოცემული დებულების მიხედვით.

მაზრისა და ქალაქის რევკომების წევრთა პასუხისმგებლობა.

§-18. ურჩობისა, საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გაუტარებლობისა, უმოქმედოებისა, ბოროტმოქმედებისა, უფლების გადამეტებისა და მცხოვრებთადმი უხეშად მოპყრობისათვის, მაზრის და ქალაქის რევკომის წევრნი პასუხს აგებენ რევოლიუციონური კანონის მთელი სიმკაცრით.

§-19. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისათანავე გაუქმებულად ითვლება რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ა/წ. მარტის 19-ს გამოცემული დეკრეტი, თემის რევკომის ორგანიზაციების შესახებ.

სქ. ს. ს. რ. რევ. კომ. თავმჯდომარის
მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**
შინაგან საქმეთა სახალხო კომ. **ბ. კვირკელია.**
რევ. კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**
1921 წ. აპრილის 15. ქ. ტფილისი.—სასახლე.

დ ე კ რ ე ტ ი № 24

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.
სამუშაო დროის შესახებ.

1. როგორც წარმოებაში, აგრეთვე წარმოების დამხმარე სამუშაო ადგილებში, მუშა-მოსამსახურეთა ნორმალური სამუშაო დღე უდრის 8 საათს დღით და 7 საათს ღამით. ამასთანავე დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე ითვლება დღისა, ხოლო საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე—ღამის საათებად.

2. იმ წარმოებაში, სადაც მუშაობა სწარმოებს როგორც დღისით, ისე ღამით (თუ წარმოებაში მორიგეობაა შემოღებული და მომუშავეთა ჯგუფები იცვლებიან), ნორმალური სამუშაო დრო განისაზღვრება 8 საათით, ხოლო ყოველი 45 წუთი ღამის მუშაობისა იანგარიშება ერთ საათად.

3. იმ დაწესებულებებში, სადაც მუშაობას განსაკუთრებული მძიმე ხასიათი აქვს და მავნებელია ჯანმრთელობისათვის, ნორმალური სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეიძლება შემოკლებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარის მიერ საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან შეთანხმებით.

4. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო დადგენილება სამუშაო დროს შემოკლების შესახებ, ყოველ კერძო შემთხვევებში უნდა გატარებულ იქნეს პროფესიონალური კავშირის მიერ საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან შეთანხმებით.

5. იმ შემთხვევებში, თუ ღამის სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა ცუდათ მოქმედებს წარმოების საქმეების მიმდინარეობაზე და მას დაშლას უქადის, სათანადო პროფესიონალურ კავშირს უფლება ეძლევა აღძრას შუამდგომლობა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე ღამის სამუშაო საათების მოგვარების შესახებ.

6. ნორმალური ხანგრძლივობა სამუშაო დღისა კონტორის და გონებრივად მომუშავეთათვის უდრის 6 საათს, ხოლო თუ მუშაობა სწარმოებს ღამით ყოველი 45 წუთი ითვლება ერთ საათად.

7. სამრეწველო და სატრანსპორტო წარმოებათა კონტორებში მომუშავეთათვის, რომელთა მუშაობა წარმოებასთან არის დაკავშირებული, ნორმალური სამუშაო დრო განისაზღვრება 8 საათით დღისით და 7 საათით ღამით. (მათ არ მიეცემათ ზედ-მეტი მუშაობისათვის ცალკე გასამრჯელო, ხოლო ანგარიში გაუსწორდებათ გადიდებული ტარიფის მიხედვით).

იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამსახურეები განაწილებულ იქნებიან მათი პროფესიის და ტარიფების მიხედვით, აღნიშნული უნდა იქნეს ყოველი მათგანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა.

8. მცირეწლოვანთათვის 13—16 წლამდე სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

9. მცირეწლოვანთათვის 19—18 წლამდე სამუშაო დღე განისაზღვრება 9 საათით.

შენიშვნა: 16—18 წლიანები ღამის სამუშაოზე არ დაიშვებიან. გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისიც საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილებით.

10. სამუშაო დღის ხანგრძლოვობა მუდმივ სამსახურში, სადაც ჯამაგირს ღებულობენ თვიურად ცეცხლისმქრობელნი, სახლების რემონტის, (მაგ., წყალსადენის გამყვანნი და სხვ.) ერთი და იმავე კატეგორიის მუშები, შეიძლება დაყოფილ იქნეს რამდენიმე ნაწილად ისე კი, რომ მუშაობის შეწყვეტა დღეში იქნეს არა უმეტეს ორი გზობისა, ხოლო სამუშაო დღის ხანგრძლივობა თვის განმაყლობაში არ უნდა აღემატებოდეს თვიური ნორმალური საათების საერთო რაოდენობას.

11. ნორმალურ სამუშაო დღის განმავლობაში მომუშავეთ უფლება აქვთ განსაზღვრულ დროს დაისვენონ და საჭმელი სჭამონ.

12. მე-11 მუხლში აღნიშნული დასვენება სამუშაო დროს ანგარიშში არ ჩაეთვლებათ. მომუშავეთ შეუძლიანთ ი' არგებლონ დასვენებით თავის სურვილისამებრ, მათ შეუძლიანთ დასვენების დროს, თუ ამას მოითხოვს საჭიროება, სხვაგანაც წავიდნენ, მაგრამ დანიშნულ დროზე უსათუოდ სამუშაოზე უნდა იყვნენ.

13. თუ დასვენება რეგულიარულად ხდება, იგი უნდა იქნეს არა უგვიანეს 4—5 საათისა მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობის დაწყებიდან, ამასთანავე დასვენება უნდა გრძელდებოდეს არა ნაკლებ ნახევარი საათისა და არა უმეტეს ორი საათისა. დასვენების დროის რაოდენობას განსაზღვრავს პროფესიონალური კავშირი წარმოების მმართველობასა ან ადმინისტრაციასთან შეთანხმებით

შენიშვნა: ძუძუ-მაწოვარ მუშა ქალებისათვის უნდა დაწესებულ იქნეს ზედმეტი დასვენება შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული წესების თანახმად.

14. მუშაობის დაწყებისა და დასვენების დრო უნდა განსაზღვრულ იქნეს მუშა მოსამსახურეების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

15. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წარმოების ხასიათი მოითხოვს მისთვის დაწესებულ ნორმალურ მუშაობაზე მეტ დროს, შეიძლება მოწვეულ იქმნენ ორი ან მეტი ჯგუფი მომუშავეთა.

16. ჯგუფობრივი მუშაობის დროს ყოველი ჯგუფი მუშაობს ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში. მშრომელთა ერთი ჯგუფის მეორეთი შეცვლა უნდა ხდებოდეს იმ საათებში, რომელიც დაწესებულია შინაგანი წესრიგით, ამასთანავე მანხელი არ უნდა შეუშალოს მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომ. თავმჯდომარის
მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

შრომის სახ. კომ. **ლ. დუმბაძე.**

საქ. ბრ. კავ. საბ. მდივანი **ყურულაშვილი.**

1921 წ. აპრილის 18 ქ. ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 25

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

შრომის დაცვის ინსპექციის დაარსების შესახებ.

1. იმ მიზნით, რომ დაცულ იქმნეს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და შრომა ყველა იმ პირებისა, რომელნიც მუშაობენ სახელმწიფო, საზოგაებრივ და კერძო დაწესებულებებსა და წარმოებებში-დაარსებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატთან შრომის დაცვისა, სასანიტარო და სატეხნიკო ინსპექციები.

2. შრომის ინსპექციის მოქმედება ვრცელდება მშრომელთა ცხოვრების საერთო პირობებზე როგორც სამუშაო ადგილებში, ისე მათ გარეშეც.

3. შრომის ინსპექციას ევალება: თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს შრომის დაცვის შესახებ გამოცემულ დეკრეტებისა, დადგენილებათა და სხვ. ცხოვრებაში გატარებას, აგრეთვე მიიღოს სათანადო ზომები შრომის დაცვისა და მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფისათვის.

4. სატეხნიკო ინსპექციას ევალება: თვალყური ადევნოს, რომ სამუშაო ადგილებსა, დაწესებულებათა და წარმოებათა სადგომებში (შენობები, მოწყობილობანი) მამოძრავებელი მანქანები და სხვა არ წარმოადგენდნენ საშიშროებას ტეხნიკურის მხრივ და მიიღოს ყოველნაირი ზომები, რომ მშრომელნი უზრუნველყოფილ იქნენ ყოველგვარი ხიფათისაგან მუშაობის დროს.

5. სასანიტარო ინსპექციას ევალება: თვალყური ადევნოს როგორც დაწესებულებათა და წარმოებათა სამუშაო ადგილების და შრომის წარმოების პირობებს, ისე მშრომელთა საცხოვრებელი ბინების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და ზომები მიიღოს სანიტარიისა და ჰიგიენის მოთხოვნათა მიხედვით სათანადო პირობების შექმნისათვის

6. შრომის ინსპექტორებს და აგრეთვე სასანიტარო და სატეხნიკო ზედამხედველობის პირთ, თავიანთ მოვალეობის აღსრულების დროს, უფლება აქვთ ყოველ დროს დაუბრკოლებრივ ინახულონ სამუშაო და დასასვენებელი ადგილები და აგრეთვე დაათვალიერონ მშრომელთა და მათი ოჯახების საცხოვრებელი ბინები.

7. შრომის ინსპექტორებს და სასანიტარო და სატეხნიკო ზედამხედველობის პირთ უფლება აქვთ, თავის კომპეტენციის ფარგლებში, დაწესებულებათა და წარმოებათა მმართველ ორგანოებს და ადმინისტრაციას წარუდგინონ მოთხოვნილება აღმოჩენილ დეფექტების წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღების შესახებ.

დაწესებულებათა და წარმოებათა მმართველ ორგანოებისა და ადმინისტრაციისათვის ასეთ მოთხოვნილებათა შესრულება სავალდებულოა.

8. უკეთუ დაწესებულებებისა და წარმოებათა მმართველი ორგანოები და ადმინისტრაცია არ შეასრულებენ შრომის ინსპექტორების მოთხოვნილებათ, ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ.

9. შრომის ინსპექტორები თავის მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდნენ შრომის დაცვისა, სასანიტარო და სატეხნიკო ინსპექციებისათვის არსებულ დებულებით და აგრეთვე შ-ომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებით.

10 შრომის ინსპექტორთა რიცხვს განსაზღვრავს შრომის სახალხო კომისარიატი ან მისი ადგილობრივი ორგანოები პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან შეთანხმებით.

11. ამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია შრომის სამინისტროს კომისართა და რწმუნებულთა არსებული ინსტიტუტი.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ სოც. საბჭ რესპ. რევ კომიტეტის
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე,**

საქ ბრძოვ. კავშ ცენტრ. საბჭოს
მდივანი **ყურულაშვილი.**

1921 წ აპრილი 20. ტფილისი. სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებები

ბრძანება № 2

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

§ 1. კონტრ-რევოლიუციასთან, სპეკულიაციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად, როგორც ქალ. ტფილისში, აგრეთვე მთელ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ა/წ. თებერვლის 25-ს დადგენილების თანახმად აარსებს საქართველოს საგანგებო-საგამომძიებლო კომისიას კონტრ-რევოლიუციასთან, სპეკულიაციასთან, საბოტაჟთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად.

§ 2. საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ დროებით ინიშნება ამხ. გიორგი ელისაბედაშვილი, რომელსაც ევალება საგანგებო კომისიის ტეხნიკურად მოწყობა დაუყოვნებლივ.

§ 3. საქართველოს ს. ს. რ. რევკომი უცხადებს ქალ. ტფილისის მცხოვრებთ და აგრეთვე მთელ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთ, რომ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედების, საბოტაჟის და სპეკულიაციის წინააღმდეგ წარმოებული იქნება დაუნდობელი ბრძოლა.

§ 4. ყოველგვარი დატუსაღება, ან ბინების გაჩხრეკა ქალაქში შეიძლება მხოლოდ მოხდეს საგანგებო კომისიის ნებართვით განსაკუთრებული ორდერის თანახმად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მიერ.

§ 5. ძირშივე ჩახშობილ იქნება ყოველგვარი თვითნებითი გაჩხრეკა და დატუსაღება, რომელსაც ალაგი ექნება ზემოაღნიშნულ სათანადო დოკუმენტების გარეშე და დამნაშავე პირნი დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის კანონების მიხედვით.

§ 6. დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საგანგებო კომისიას ყოველივე თვითნებითი გაჩხრეკის ან დატუსაღების შესახებ და აგრეთვე ისეთი შემთხვევის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება მე-4 § ის.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.
მდივანი **ლადო დუმბაძე.**

1921 წ. თებერვლის 26. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 3.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

თანახმად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ამა თებერვლის 26-ს დადგენილებისა, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულოა მიღება რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის ყველა ფულისა და საანგარიშო ნიშნებისა თანასწორად საქართველოს ბონებისა.

დანარჩენი ფულის ნიშნები კი, სახელდობრ, ადერბეიჯანის და სომხეთისა, გარდა ამიერ-კავკასიის ბონებისა (ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონები), მისაღებად სავალდებულო არ არის.

ყველა ის პირი, რომელიც დაარღვევს ამ დადგენილებას, მიეცემა სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე **ორახელაშვილი**
მდივანი **ლ. დუმბაძე.**

1921 წ., თებერვლის 27. ქ. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 4

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

1 იმ სამოქალაქო და სამხედრო ქონების აღრიცხვისათვის, რომელიც ინახება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საწყობებში, არსდება კომისია 5 პირისაგან შემდგარი.

2. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ხუტულაშვილი, წევრებად: ამხ. ყიფიანი, არჩვაძე, ვართანიანი და ლებედევი.

3. კომისიას ევალება რაც შეიძლება სასწრაფოდ გამოარკვიოს ზემოაღნიშნული ქონება, აიღოს აღრიცხვაზე, დაიცვას იგი და მიიღოს ყველა ზომები მის კონცენტრაციისათვის ცენტრალურ საწყობებში ქონების დარგის მიხედვით.

4. ყველა თანამდებობის პირნი და მოქალაქენი, რომელთაც აქვთ ცნობები ყოველგვარ საწყობების შესახებ, სადაც ინახება სამხედრო ან სამოქალაქო ქონება, მოვალენი არიან აუწყონ აღნიშნულ კომისიას, თუ სად არის მოთავსებული ამგვარი საწყობები შემდეგის მისამართით: სასახლე, ოთახი № 6.

საქ. რევკომის თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
სამხედრო და საზღვაო საქმეთა
სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**
მდივანი **მიქაძე.**

1921 წ. მარტის 1—ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 5

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. ყველა საბჭოთა დაწესებულების ბლანკზე უნდა ეწეროს მისამართი და ტელეფონის ნომერი დ წესებულებისა, აგრეთვე ყველა იმ ცალკე თანამდებობის პირთა ტელეფონის ნომრები, რომელნიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არიან და რომელთაც აქვთ თავისი ტელეფონები შიგ დაწესებულებაში.

2. ყველა დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ქალაქის კომენდანტს თავისი მისამართი და ტელეფონის (№№) ნომრები. ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცვლილება მისამართების მხრივ და სხ. სისტემატიურად უნდა ეცნობოს ქალაქის კომენდანტს (პროვინციაში—სათანადო თანამდებობის პირს).

3. თუ რომელიმე დაწესებულება არ შეასრულებს ამ ბრძანებას, თუნდაც ნაწილობრივ, ასეთი დაწესებულების უფროსი მიეცემა სასტიკ პასუხისგებაში.

4. ეს ბრძანება ვრცელდება მთელ რესპუბლიკის დაწესებულებებზე და ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭოთა რეს. რევ. კომ.

თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

მდივანი **მიქაძე**

1921 წ. მარტის 2. ქ. ტფილისი.

ბრძანება № 6

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

§ 1. ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციათ, მთავრობის დაწესებულებათ და სხვა ყოველ თანამდებობის პირთ, რომელნიც ჩამოდიან, ან უკვე საქართველოში იმყოფებიან, სასტიკათ ეკრძალებათ შესყიდვა საქართველოს ბაზარზე საგნებისა და ყოველგვარ მასალებისა, ყოველ ცალკე შემთხვევაში, რევოლიუციონური კომიტეტის ნებადაურთველად.

§ 2. აკრძალულია გატანა, როგორც შესყიდულისა ისე საქართველოში მიღებული ყოველგვარი საქონლისა და მასალებისა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ნებადაურთველად.

§ 3. საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რკინის გზის სამმართველოს და სადგურების კომენდანტებს წინადადება ეძლევათ არავითარი საქონელი დასატვირთად არ მიიღონ და არც ვაგონები მისცენ არავის რევოლიუციონური კომიტეტის ნებადაურთველად.

§ 4. სასტიკი თვალყურის დევნება ამ ბრძანების აღსრულებისათვის დავალებული აქვს საკონტროლო კომისიას, რომელიც შესდგება ამხ.: მგალობლიშვილი, ავალიშვილი და გორაბეკისაგან.

§ 5. ყველა ის პირი და დაწესებულება, რომელიც არ შეასრულებს ამ ბრძანებას, მიცემულ იქნება სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევ. კომ.

თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სამხ. და საზდვ. საქ. სახალხო კომისარი და მე-XI არმიის სამხ. სრევ. საბჭ. წევრი **შ. ელიავა.**

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 4. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 7

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

დროებით, სანამ შემუშავებულ იქნება მუშათა კანონმდებლობის ახალი დებულება ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს საერთო სახელმძღვანელოდ შემდეგი:

§ 1. სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ აღკრძალულია დაწესებულებათა და წარმოებათა დახურვა და მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნა.

§ 2. ცალკე პიროვნების სამსახურიდან დათხოვნა პირველ §-ში მოხსენებულ დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთა წრიდან შეიძლება მხოლოდ სათანადო პროფესიონალური კავშირის ნებართვით, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში, მუშათა კომიტეტთან ერთად, იკვლევს ასეთი დათხოვნის აუცილებლობას.

§ 3. მუშათა და მოსამსახურეთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა შეიძლება მხოლოდ სათანადო პროფესიონალური კავშირის ნებართვით.

§ 4. დროებით, ახალ დადგენილების გამოცემამდე, შეჩერებულ იქნეს ყოველნაირი შვებულების მიცემა, გარდა სერიოზული ავადმყოფობის გამო და ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც მხოლოდ სათანადო პროფესიონალური კავშირის ნებართვით.

§ 5. საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურენი უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ მათ დამქირავებლების მიერ სავსებით კუთვნილ ჯამაგირით ამა წლის თებერვლის 25-დე არსებული სატარიფო ნორმების თანახმად, როგორც წარსული თვეებისათვის, ისე მომავალში, სანამ შემუშავებულ იქნება ახალი სატარიფო ნორმები სათანადო საკანონმდებლო ორგანოების მიერ, ან ამ საკითხის გამო გამოცემულ იქნება საქართველოს რევკომის დადგენილება.

§ 6. ყველა, ვინც ზემოაღნიშნულ დადგენილებას არ შეასრულებს, ან შემჩნეული იქნება მის ბოროტად გამოყენებაში, მიიცემა სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

§ 7. ბრძანება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 4 ქ. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 8

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის მარტის 5-ს დადგენილებისა, შალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა გაბრიჩიძე დანიშნული არის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის მდივნად.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 8. ქ. ტფილისი, სახახლე.

ბრძანება № 9

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. მარტის 6-ს დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობა:

1) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და მიწადმოქმედების სახალხო კომისარი—**ფილიპე მახარაძე.**

2) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და გარეშე-საქმეთა სახალხო კომისარი—**მამია ორახელაშვილი.**

3) სამხედრო და საზღვაო საქმეთა და გარეშე ვაჭრობის (დროებითი) სახალხო კომისარი—**შალვა ელიავა.**

4) შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარი—**ბესარიონ კვირკველია.**

5) შრომის და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი—**ლადო დუმბაძე.**

6) მუშათა და გლეხთა ინსპექციის (სახელმწიფოს კონტროლის) სახალხო კომისარი—**გიორგი ელისაბედაშვილი.**

7) იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარი—**ამაიაკ ნაზარეტიანი.**

8) ჯანმთელობის სახალხო კომისარი—**კუჩაიძე** (მის მოადგილედ ექიმი **კიკალეიშვილი.**

9) განათლების სახალხო კომისარი—**ალ. სვანიძე** (მის აქ არ ყოფნის გამო, მისი მოვალეობის აღსრულება დროებით ევალება ამხ.—**ორახელაშვილს**).

10) სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი—**ად. დუნტაუ.**

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ., მარტის 8. ქ. ტფილისი,—სახახლე.

ბრძანება № 10

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წ. მარტის 6-ს დადგენილებისა, კონტრრევოლიუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულიაციასთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველ საგანგებო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული არის ამხ. კონსტანტინე ცინცაძე.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 8. ქ. ტფილისი, სახახლე.

ბრძანება № 11

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის 1921. წ. მარტის 6-ს დადგენილებისა, საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების უფროსად დანიშნული არის ინჟენერი კაციტაძე; რკინის გზების უფროსის მოადგილეთ დანიშნული არის ინჟენერი კენგე და რკინის გზების უფროსის თანაშემწედ დანიშნული არის ამხანაგი რუდსკი.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 8. ქ. ტფილისი, სახახლე.

ბრძანება № 12

§ 1. ყველა იმ პირთ, ვისაც აქვთ ქაღალდი, რა რაოდენობისაც იგი არ უნდა იყვეს, წინადადება ეძლევათ ორი დღის განმავლობაში, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა, წარადგინონ საქართველოს ბეჭვდითი ცენტრის საგამომცემლო განყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 24) სწორი ცნობები ქაღალდის თადარიგის იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც მოეპოვებათ.

§ 2. ყველა სახლის კომიტეტებს, ხოლო სადაც ისინი არ არიან, სახლის პატრონებს, ან იმ პირთ, რომელნიც მათ ნაცვლად არიან, ევალებათ ორი დღ ს განმავლობაში წარადგინონ საქართველოს ბეჭდვითი საგამომცემლო განყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 24) სწორი ცნობები მათ სახლში მოთავსებულ ყველა ქაღალდის საწყობების შესახებ.

§ 3. ის პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ ამ დადგენილებას, მიეცემიან რევოლიუციონურ ტრიბუნალში და დაისჯებიან რევოლიუციურ დროის კანონების სრულის სისასტიკით.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ბეჭდვითი ცენტრის სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **ს. ბოგდატიევი.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 10. ქ. ტფილისი,—სახახლე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 13.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ნაწილისა და შტაბის უფროსად ინიშნება გენერალური შტაბის ამხ. **გაბაშვილი**, ალექსანდრე გიორგის ძე.

რესპუბლიკის ყველა თანამდებობის პირთ და დაწესებულებათ ევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სამხედრო სახალხო კომისარიატის საჩქაროდ მოწყობის საქმეს.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს ევალება მოკლე დროში წარმოუდგინოს საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს დასამტკიცებლად საქართველოს წითელი ლაშქრისა და სათანადო სამხედრო დაწესებულებათა მოწყობის გეგმა.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარ ძე.**

სამხედ. და საზ. საქ. სახ. კომ. **შ. ელიავა.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 11. ქ. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 14.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილების თანახმად, შრომის კომისარიატის კოლეგიასთან დაარსებულია უმუშევრობის სალიკვიდაციო კომისია, რომელშიაც შედიან ამხანაგები: მიქაძე, ნუცუბიძე და მაშკევიჩი.

აღნიშნულ კომისიას წინადადება ეძლევა სამი დღის განმავლობაში, დღიდან მისი დაარსებისა, მოხსენება წარუდგინოს შრომის სახალხო კომისარს იმ საჭირო ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიღებულ იქნეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში უმუშევრობის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**

1221 წ. მარტის 12. ტფილისი — სასახლე

ბრძანება № 15.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. მარტის 11-ს დადგენილებით, დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგია, რომელშიაც შედიან ამხანაგები: ქოქაშვილი, გოგოლაძე და ტიმოფეევი.

აღნიშნულ კოლეგიის წევრთ წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის აღსრულებას.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 13. ქ. ტფილისი, სასახლე

ბრძანება № 16

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათანავე ძირიანად იცვლება საქართველოსი ყოფილი ბურჟუაზიული მთავრობის მთელი კანონმდებლობა მიწის შესახებ. საქართველოს ახალი სოციალისტური მთავრობა უკვე შეუდგა მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ ძირითად კანონების დაჩქარებით შემუშავებას და იმათ დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას.

სანამ კი ასეთი კანონები გამოცემული არაა, აუცილებლად საჭიროა თვით მშრომელი გლეხკაცობის ინტერესებისათვის ხელუხლებლად დაცულ იქმნას როგორც ყოფილი მემამულეების განკარგულებაში მყოფი ყოველგვარი სიმდიდრე, ქონება, ესე იგი ყოველგვარი შენობა, ავეჯეულობა, სამეურნეო იარაღები, მანქანები, საქონელი და სხვა და სხვა. გარდა ამისა ხელუხლებლად უნდა იქმნას დაცული აგრეთვე სხვილი მეურნეობანი, რომელთა გამოყენებისათვის სახელმწიფოებრივი ინტერესების და ღარიბი გლეხკაცობის სარგებლობის მიხედვით საკუთარი კანონი იქმნება გამოცემული სულ ახლო მომავალში.

ვიღებ რა მხედველობაში ყოველივე ამას, ყველა საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო რევოლიუციონურ კომიტეტებს ვავალებ: 1) დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული შესაფერი ზომები ყველა ზევით ჩამოთვლილ ხალხის ქონებათა და სიმდიდრეთა დასაცავად, სანამ სათანადო კანონები გამოცემული იქმნებიან, და 2) თუ ვინიცობაა ამ ბრძანების გამოცემამდე რაიმე გაფლანგვას, გადამალვას ან გაფუჭებას ჰქონდა ადგილი როგორც ქონებათა გამგეობის და ყოფილ მემამულეების, ისე გარეშე პირების მხრით, დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას ზომები ქონებათა გაფლანგვის ან იმათი გაფუჭების შესაჩერებლად და დაკარგული სიმდიდრის აღსადგენად.

ის პირნი, რომლებიც ამ ბრძანების წინააღმდეგ იმოქმედებენ, როგორც დამნაშავენი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, განსამართლებულ და დასჯილ იქმნებიან თანახმად რევოლიუციონურ კანონებისა.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ., მარტის 14. ქ. ტფილისი, — სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 17

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის გაქცევის და მისი ჯარების ტფილისიდან გასვლის დღეებში მრავალი სახელმწიფო საწყობები და დაწესებულებები, რომლებიც უპატრონოდ იქმნა მიტოვებული და რომლებშიც ინახებოდა სახალხო ქონება, გაძარცული იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა ბნელი ელემენტებისაგან, უმთავრესად ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც აღნიშნული სამხედრო საწყობების და დაწესებულებების სამყოფი ადგილი იყო.

საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც ფხიზლად უდგია მცველად მშრომელ ხალხის ინტერესებს, ვერ დაუშვებს ვერავითარ შემთხვევაში სახალხო ქონების დატაცებას და ამისთვის წინადადებას აძლევს ქ. ტფილისის ყველა მცხოვრებს ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოქვეყნებისა, დააბრუნონ ყველა ის სახაზინო, სახედრო ქონება, რომელიც უკანონო გზით გადავიდა მათ ხელში და ჩააბარონ ის სარაიონო მილიციის კომისარიატებთან დანიშნულ კომენდანტებს.

ის პირები, რომლებიც არ შეასრულებენ ამ ბრძანებას და აღნიშნულ ვადის განმავლობაში არ ჩააბარებენ სახაზინო ქონებას, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სამხედრო დროის კანონების წესით და დაისჯებიან უდიდესი სასჯელით.

სქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სამხედრო და საზღვაო საქმეთა
სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**

საქართველოს საგანგებო კომისიის
თავმჯდომარე **გ. ელისაბედაშვილი.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ., მარტის 15 ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 18

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

წესი, რომელიც შესრულებულ უნდა იქმნეს რესპუბლიკის ფერბის დამზადების დროს.

§ 1. ხსენებული ბეჭდის შეკვეთა შეუძლიან იმ პირს და დაწესებულებას, რომელიც დამზადებელს წარუდგენს შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან სათანადო ნებართვას. ნებადაურთველად კი ხსენებული ბეჭდის დამზადება **სასტიკად აკრძალულია.**

§ 2. საბჭოთა დაწესებულება და სათანამდებო პირნი ვალდებულნი არიან აღნიშნულ მოწმობის მისაღებად წერილობითი განცხადებით მიმართონ შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატს. განცხადებაში უნდა იქმნეს აღნიშნული რა დაწესებულებისათვის არის საჭირო ხსენებული ბეჭედი.

შენიშვნა. დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომლებიც იმყოფება ტფილისის გარეშე, ვალდებულნი არიან ხსენებულ ნებართვისათვის მიმართონ შესაფერ რევკომებს.

§ 3. ქ. ტფილისის ყველა დაწესებულებები, ორგანიზაციები და სათანამდებო პირნი, რომელთაც უკვე აქვთ ხსენებული ბეჭედი, ვალდებულნი არიან შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატში დაუყოვნებლივ წარადგინონ ნამდვილი მის ანაბეჭდი დაა ცნობონ: სად, როდის და ვისთან იყო შეკვეთილი გასაკეთებლად.

§ 4 ყველა გრავიორები და მწარმოებლები, რომელთაც უკვე დაუმზადებიათ ხსენებული ბეჭედი, დღიდგან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა, ერთის კვირის განმავლობაში ვალდებულნი არიან შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატში წარმოადგინონ შემდეგი ცნობები: ა) რომელ დაწესებულებათა, ან პირთათვის იქმნა დამზადებული ბეჭედი 2 თებერვლის შემდეგ და ბ) როდის, რა №-ით, ვის მიერ ოქმნა მიცემული მოწმობა ბეჭდის დასამზადებლად.

§ 5. აღნიშნული გრავიორები და მწარმოებლები ვალდებულნი არიან დღეის შემდეგ ყველა ნებართვანი, რომელნიც წარმოდგენილი იქნება ბეჭდის დასამზადებლად, შეინახონ სიფრთხილით და წესიერად და წარუდგინონ კონტროლს, რომლის მოვალეობა დაკისრებული აქვს ტფილისის ქალაქის მილიციას.

§ 6. ყველა ის პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც დღევანდელ ბრძანებას დაარღვევენ სასტიკად იქნებიან დასჯილნი რევოლიუციონურ დროს კანონის ძალით.

სქ. ს. ს. რესპუბლიკის რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის
შინაგან-საქმეთა სახ. კომ. **ბ. კვირკველია.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 15. ქ. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 19

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილედ ინიშნება ამხ. ეპიფანე ალექსის ძე **კვანტალიანი**

სქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სქ. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო
საქმეთა სახალხო კომისარი **შ. ელიავა**

1921 წ. მარტის 15 ტფილისი, სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 20

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველად დანიშნულია ტფილისის რევკომის წევრი ამხ. ბ. ე. ბიბინეიშვილი (ბარონი) ამა მარტის 15-დან.

რევკომის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 19. ქ. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 21

სიქართველოს სოც საბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

დამატებად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ბრძანებისა № 15, ამხ. **ვაწაძე** ევგენი იოსების ძე, დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწად-მოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრად.

ამხ. ვაწაძეს წინადადება ეძლევა შეუდგეს თავისი მოვალეობის აღსრულებას დღევანდელი რიცხვიდან.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 30. ქ. ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 22

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. ამა 1921 წლის თებერვლის 27 თარიღითა და მე-3 №-რით გამოცემულ ბრძანების შეცვლისა და შევსებისათვის ცხადდება საყოველთაოდ სახელმძღვანელოდ და აუცილებელ აღსასრულებლად, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა ფულის ნიშნები სავალდებულოა მისაღებად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ბონების თანაბრად.

2. აზერბაიჯანის და სომხეთის ფულის ნიშნები, გამოშვებული ამა რესპუბლიკების **არა საბჭოთა** ხთავრობების მიერ, მისაღებად სავალდებულო არ არის.

3. ყველა, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, დასჯილი იქნება რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე,**

1921 წ., მარტის 30. ქ. ტფილისი, სასახლე.

ბრძანება № 23

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. ამით წინადადება ეძლევა მთავრობის ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, საბჭოთა პასუხისმგებელ მომუშავეთ და თანამდებობის პირთ საქართველოში არსებულ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობებთან ყოველნაირი დამოკიდებულება იქონიონ მხოლოდ საგარეო სექმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 30. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 24

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის მარტის 29-ს დადგენილების თანახმად, ამხ. სამსონ **კარტოზია** და არჩილ **ჯაჯანაშვილი** დანიშრული არიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კოლეგიის წევრებად.

საქ. ს. ს. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 1. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 25

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის მარტის 17-ს დადგენილების თანახმად, ამხ. **ჟორჟიკაშვილი** ალექსანდრე გერასიმეს ძე, დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 1. ქ. ტფილისი. სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 26

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის ამა წლის მარტის 30-ს დადგენილების თანახმად ამხ. **გროდკი** დანიშნულია იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად; ხოლო ამხანაგები რაჟდენ **კალაძე** და მიხეილ **ჩოდრიშვილი** იმავე კოლეგიის წევრად.

ამხანაგი **კარტოზია** განთავისუფლებულია ზემოაღნიშნულ კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 1. ქ. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 27

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის მარტის 29-ს დადგენილების თანახმად ამხ. **პარკაძე** დანიშნულია საქართველოს სოციალიალისტური საბჭოთა რესპუბლისის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 1. ქ. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 28

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის აპრილის 1 ს დადგენილების თანახმად, ამხანაგები **გ. ჩხეიძე, ნასარიძე** და **სოკოლოვსკი** დანიშნულ არიარ თბილისის ქალაქის რევკომის წევრებად აწ. მარტის 24 დან.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 1. ქ. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 29

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის აპრილის 1-ს დადგენილების თანახმად, საქართველოს რევკომის წევრი ამხ. **თოდრია** დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სოციალისტური უზრუნველყოფის სახალხო კომისრად.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 1 ქ. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 30

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების მიცემისა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს და წარმოებათ წინადადება ეძლევათ:

1. დაწესებულებათა და წარმოებათა იმ მუშებს და მოსამსახურეთ, რომელნიც ამ ბრძანების გამოქვეყნების დროისთვის სამსახურში იმყოფებიან და რომელთაც ყოფილი მენშევიკური მთავრობისაგან არ მიუღიათ ამა წლის მარტის კუთვნილი ჯამაგირი, მიეცეს დახმარება ათი ათასი (10,000) მანეთი.

2. ამ ბრძანების პირველ მუხლში აღნიშნული თანხის გარდა არ შეიძლება გაცემულ იქნას რაიმე სხვა დახმარება, რომელიც გათვალისწინებული. არ არის შრომის სახალხო კომ სარის განსაკუთრებული. განკარგულებით.

3. ყველა ის თანხა, რომელიც მიღებული აქვთ პირველ მუხლში მოხსენებულ. პირთ ამა წლის მარტის 1-ლის შემდეგ უნდა ჩაეთვალოთ ამავე ბრძანების პირველ მუხლში მოხსენებულ დახმარებ-ს ანგარიშში.

შენიშვნა: წინად გაცემული თანხა, თუ იგი აღემატება ამ ბრძანებით მისაცემ დახმარების ჯამს, უნდა ჩათვლ ლ იქნეს მომავალი ჯამაგირის ანგარიშში გაცემულ ავანსად და გამორიცხულ იქნეს ჯამაგირიდან.

4. ამ ბრძანების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

შრომის სახ. კომისარი **ლ. დუმბაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 3. ქ. ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 31

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა გაჩხრეკა-დაპატიმრების წესის შესახებ.

ავაზაკი პირებისა და კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების მიერ თვითნებითი გაჩხრეკისა და და-

პატიმრების მოსახსნობად და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პირად ხელშეუხებლობის დასაცავად, გაჩხრეკისა და დაპატიმრების მოსახდენად, როდესაც საჭირო იქნება, შემოღებულია შემდეგი წესი, რომლის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან რევოლიუციონური დროის კანონების სრულის სისასტიკით—დახვრეტითაც კი.

1. გაჩხრეკის უფლება აქვთ: ა) საქართველოს საგანგებო კომისიას, 2) სისხლის სამართლის ორგანოებს, 3) სასამართლო-საგამომძიებლო დაწესებულებებს და 4) ჯარის ნაწილებში არმიის საგანგებო განყოფილებებს.

2. გაჩხრეკა შეუძლიანთ მოახდინონ პირველ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა ყოველ დროს სათანადო ორდერის წარდგენით; ორდერი უნდა იქნეს ხელმოწერილი იმ დაწესებულების უფროსის ან მისი მოადგილის მიერ, რომლის განკარგულებითაც უნდა მოხდეს გაჩხრეკა.

3. დაპატიმრების უფლება ორდერში ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული, გაჩხრეკის შედეგის მიხედვით.

4. გაჩხრეკა შეუძლიან მხოლოდ იმ პირს, რომლის სახელზედაც არის გაცემული ორდერი; გაჩხრეკას უნდა დაესწრონ: სახლის კომიტეტის თავმჯდომარე ან ერთ-ერთი წევრი და ბინის პატრონი, რომლის სადგომშიაც უნდა მოხდეს გაჩხრეკა ორი მოწმის თანდასწრებით.

5. გაჩხრეკის დამთავრებისას, ის პირი, რომელიც აწარმოებდა ჩხრეკას, ვალდებულია შეადგინოს ოქმი სამ ცალად, სადაც უნდა აღინიშნოს ყველაფერი, რაც კი აღმოჩენილ იქნა და ჩაიწეროს გაჩხრეკილ პირის ახსნა-განმარტება და განცხადებანი.

6. ოქმის სამივე ცალს ხელი უნდა მოაწერონ იმ დაწესებულებების წარმომადგენელთ, რომლის განკარგულებითაც სწარმოებდა გაჩხრეკა და აგრეთვე ყველა ოფიციალურად დამსწრე პირებმა; ამასთანავე ოქმის ერთი ცალი უნდა მიეცეს სახლის კომიტეტის წარმომადგენელს და ერთიც—გაჩხრეკილ პირს.

7. ყოველივე ის, რაც აღმოჩნდება გაჩხრეკის დროს უნდა დატოვებულ იქნეს ხელშეუხებლად, ბინა უნდა დაიბეჭდოს და გადაეცეს დასაცავად სახლის კომიტეტის წარმომადგენელს ამ უკანასკნელის პირადი პასუხისმგებლობით იმ საქმის დამთავრებამდე, რომლის გამოც სწარმოებდა ჩხრეკა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

იუსტიციის სახალხო კომ. **ნაზარეტიანი.**

რევ კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 5. ქ ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 32

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის აპრილის 7-ს დადგენილებით ამხ. **ქოქაშვილი** დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქმედების სახალხო კომისარის დროებითი მოადგილეთ.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 8. ქ. ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 33

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის მთავრობის ყველა დეკრეტებისა, დადგენილებისა, ბრძანებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში სისწორით გატარება მოითხოვს დიდ სერიოზულ და შეგნებულ მოპყრობას როგორც მთავრობის ორგანოთა მხრივ, აგრეთვე იმ ცალკე მოქალაქეთა მხრივაც, რომლებიც ვალდებულნი არიან სისწორით და დაუბრკოლებლივ მოიყვანონ სისრულეში გამოცემული საკანონმდებლო აქტები.

1. ამიტომ, რესპუბლიკის ყველა საბჭოთა დაწესებულებას და თანამდებობის პირთ ევალებათ გულდასმით მოისმინონ იმ მოქალაქეთა განცხადებანი, რომელთაც სურთ განსაჩივრება ვისიმე მოქმედებისა ან და მითითება ისეთ ბოროტმოქმედებაზე, რომელსაც საზოგადოებრივ მშვიდობიანობასა და წესრიგს ვნება შეუძლია მოუტანოს.

2. ყოველი თანამდებობის პირი, განცხადებ-ს მოსმენისთანავე, ვალდებულია შეადგინოს მოთხრობილი ამბის შესახებ ოქმი, რომელშიაც საჭიროა აღინიშნოს დრო ოქმის შედგენისა, დაწესებულების სახელწოდება, ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირისა და აგრეთვე მომხდარი ამბის დამსწრეთა სახელი და გვარი.

ოქმის დედანი უნდა წარგზავნილ იქნეს სათანადო უმაღლეს დაწესებულებაში, ასლი კი უნდა გადაეცეს გამცხადებელს. ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ზემოაღნიშნულ განცხადებების მიღებაზე უარს იტყვიან, მიიცემიან პასუხისგებაში თანახმად რევოლიუციონურ დროის კანონებისა.

პასუხისგებაში მიიცემიან აგრეთვე ის პირნი, რომლებიც უსაფუძვლოდ მოითხოვენ ოქმის შედგენას.

3. მუშათა და გლეხთა მილიციის ყოველ თანამშრომელს უნდა ახსოვდეს მტკიცედ, რომ წესრიგის დამყარებისა, დამნაშავეთა და ბოროტად განზრახულ ელემენტების ლიკვიდაციის საქმეში მათ მოელის დიდი მუშაობა, რომელიც თვითეულ იმათთაგან უპირველესად ყოველისა მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონების უაღრესად სამაგალითო შესრულებას მოითხოვს.

4. მილიციის ყოველ თანამშრომელს ევალება დაიცვას სასტიკი დისციპლინა და აგრეთვე ზრდილობიანი მოპყრობა და წინდახედულობა მოქალაქეებთან დამოკიდებულების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მილიციის ყოველ თანამშრომლებს ევალებათ გამუდმებით ადევნონ თვალყური და გაუწიონ ფხიზელი კონტროლი უმცროს თანამშრომლებს. მათ ევალებათ აგრეთვე იქონიონ უწყების თანამშრომლებთან მჭიდრო კავშირი.

6. წინადადება ეძლევათ მთავარ და საგუბერნიო მილიციის უფროსებს წარუდგინონ სასწრაფოდ შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარს თავიანთი მოსაზრებანი მილიციის საქმის დაყენებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ.

7. განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციის მოქმედებას ადგილობრივ (მაზრებში თემებში და სხ.), სადაც ბრძოლა ბოროტმომქმედ ელემენტებთან მოითხოვს ჯეროვან ყურადღებას და დიდ ენერგიას. ამიტომ სამაზრო ადმინისტრაცია ვალდებულია მოახმაროს მთელი ძალა მასზე დაკისრებულ მიზნის შესრულებას, მეტი ყურადღებით და წინ დახედულობით მოეპყრას გლეხთა საჭიროებას და საშუალება მისცეს მათ იქონიონ პირდაპირი დამოკიდებულება ადმინისტრაციის (მილიციის) თანამშრომლებთან, რომელთა პიროვნებაში გლეხებმა უნდა იპოვონ თავიანთი უფლების და არსებით ინტერესების დამცველნი.

8) ადმშენებლობითი მუშაობის მიღწევის სფეროში საბჭოთა რესპუბლიკის მილიციის უფროსებს ენიჭებათ თავისუფალი ინიციატივა ამასთანავე მათ უნდა დაიხსომონ, რომ მთავრობა არ შეჩერდება უსასტიკეს ზომების წინაშე იმ პირთა მიმართ, რომელთა მოქმედება არ შეესაბამება საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის მიმართულების ხაზს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ.
კომ. თავმჯდ. **ფ. მახარაძე.**

შინაგან-საქმეთა სახ. კომ. **ბ. კვირკველია.**

რეგკომის მდივანი **გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 10. ქ. ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 34

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა რეგისტრაციის შესახებ.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილების თანახმად, წინადადება ეძლევათ ტფილისში მყოფ ყველა სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებს და ტექნიკოსებს, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი, საშუალო ან დაბალი განათლება და რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კერძო საწესახურში, ან არიან სამსახურის გარეშე, ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო მეურნეობის განყოფილებაში (ტფილისი, მთავრობის დაწესებულებათა შენობა. რუსთაველის პროსპ.).

2. რეგისტრაციის პირველ დღეს, ცხადდება 1921 წლის აპრილის 12 ნაშუადღევის 1-ლ. საათიდან 3 საათამდე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რეგკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 10. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 35

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

თანახმად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის მარტის 30-ს დადგენილებისა, ამხ. **ტერ-გრიგორიანი** დანიშნულია სტატისტიკის ცენტრალი სამმართველოს მმართველად. ამხ. ტერ-გრიგორიანს წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ შეუდგეს ხსენებული სამმართველოს მოწყობის საქმეს.

რეგკომის თავმჯდომარის მოადგილე
მ. ორახელაშვილი.

რეგკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 12. ტფილისი. სასახლე.

ბრძანება № 36

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის მარტის 11-ს № 4-ს დეკრეტის დამატებად, ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის გზებზე სამხედრო წესების გამოცხადებისა და გზათა უწყების მუშებისა და მოსამსახურების საერთო მობილიზაციის შემდგ,—მათი ბინები თავისუფალია რეკვიზიციისა და ჩასახლებისაგან.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც, რეკვიზიცია ან ჩასახლება აუცილებელია, უკანასკნელი შეიძლება მოხდეს მხოლოდ გზათა, კომისარის თანხმობით.

2. ყველა დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ ევალებათ სასტიკად ადევნონ თვალყური ამ ბრძანების სისწორით შესრულებას; ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი მიიცემიან პასუხი სგდებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯ. მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**

რეგკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 12. ქ. ტფილისი. -სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15

შინაარსი

I-ლ №-ში მოთავსებულ მასალებისა:

1) დეკრეტი № 1. ამნისტიის შესახებ.

2) „ № 2 არმიისა და სახალხო გვარდიის საერთო დემობილიზაციისა და დათხოვნის შესახებ.

3) „ № 3. კახეთის რკინის გზის სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებისა.

4) „ № 4. რესპუბლიკის გზებზე სამხედრო წესების შემოღებისა და გზათა სამმართველოს მოსამსახურეებისა, ხელოსნებისა და შუშების მობილიზაციისა.

5) „ № 5. კონფისკაციასა და რეკვიზიციაზე.

6) „ № 6. სენატისა და სასამართლოს სხვა დაწესებულებათა გაუქმებისა.

7) „ № 7. საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნისა.

8) „ № 8. მესხიშვილისა, ბიხოვისა და შახბაზიანის დიტო-ტიპოგრაფიების ნაციონალიზაციისა.

9) „ № 9. ჯარის ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

10) „ № 10. რკინისგზების შენობების შესახებ.

11) „ № 11. სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

12) „ № 12. მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის შესახებ.

13) „ № 13. სტატისტიკის ცენტრალ სამმართველოს დაარსებისა.

14) „ № 14. სამხედრო მოქმედებით მიყენებულ ზარალის ამსაზღვურებელი კომისიის დაარსებისა.

15) დეკრეტი № 15. ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების მობილიზაციის შესახებ.

16) „ № 16. უბრალო წერილების გაგზავნისათვის არსებული გადასახადის გაუქმების შესახებ.

17) „ № 17. მიწის შესახებ.

18) „ № 18. ყოფილ დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტის გაუქმებისა.

19) „ № 19. ჯარის ნაწილების მიერ მოქალაქეთაგან ჩამორთმეულ სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგისა და საკვებ საქონლის ანგარიშების განადგურების შესახებ.

20) „ № 20. ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

21) „ № 21. სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ.

22) „ № 22. სახელმწიფოს ხელში გადასულ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისთვის სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის შესახებ.

რედაქტორი:

სარედაქციო კოლეგია.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რკინის გზების სტამბა-ლიტოგრაფია.